მატჩი კონტრასტებით

ბაქო. ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 24 აგვისტო. 17 000 მაყურებელი.

“ნეფთჩი” (ბაქო) – “დინამო” (თბილისი) 1:1.

“ნეფთჩი”: ჟიდკოვი, აბდულაევი, გასანოვი, ჰასანოვი, ვაჰაბ–ზადე, მიხაილევსკი, ალექსეიჩიკოვი, მირზოევი, პონომარიოვი, ახმედოვი, ჯავადოვი.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, მახარაძე, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჩქარეული, შენგელია.

45–ე წთ. გუცაევი, 87–ე წთ. ახმედოვი.

46–ე წთ. ჩქარეულის ნაცვლად – კაკილაშვილი, პონომარიოვის ნაცვლად – ჩერემისოვი, 53–ე წთ. შენგელიას ნაცვლად – თევზაძე, 61–ე წთ. ალექსეიჩიკოვის ნაცვლად – ალიევი.

მსაჯი: ალექსეი სპირინი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 10:9 (1:3), ზუსტი დარტყმა – 4:3 (0:1), საჯარიმო მოედნიდან – 3:4 (0:0).

კუთხური – 8:3 (2:3).

დაჯარიმდნენ: ბაქოელები – 10 (6), თბილისელები – 16 (9).

დუბლიორები 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჟორჟიკაშვილმა და გოგრიჭიანმა.

თავისი სუსტი თამაშის წყალობით ბაქოს “ნეფთჩი” წლევანდელ სეზონში ქულების დამრიგებლად იქცა და ეს ამბავი წუთით არ ავიწყდება მის არც ერთ მეტოქეს. შინ იქნება თუ სტუმრად, ნებისმიერი გუნდი აზერბაიჯანელ ფეხბურთელებთან მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი განწყობილებით გამოვიდნენ მინდორზე დინამოელები.

თბილისის “დინამო” მატჩის დასაწყისიდანვე დაეუფლა ინიციატივას. საგოლე სიტუაციები “ნეფთჩის” კართან შესაძლოა ბევრი არ იყო, მაგრამ სტუმართა უპირატესობა მაინც იგრძნობოდა – ქართველ ფეხბურთელებს ბურთი მეტ ხანსაც ჰქონდათ და დროის მეტი ნაწილიც მეტოქის ნახევარზე გაატარეს. ამას გარდა, უთუოდ მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ მასპინძლებმა “დინამოს” კართან პირველი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ ორი კუთხური ჩამოაწოდეს და ერთადერთხელ, ისიც საჯარიმო მოედნის გარედან, სცადეს კარში დარტყმა. მკითხველს ვთხოვ, კარგად დაიხსომოს ეს ორი ციფრი. მე–10 წუთზე შენგელიას გოლის გატანის პირველი შესაძლებლობა მიეცა. მე–18 წუთი. ზემოხსენებული ერთადერთი დარტყმა. ბურთი თბილისელ ფეხბურთელს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. ძალზე კარგად ითამაშა მეკარე აბუსერიძემ. ტაიმის მიწურულს, 42–ე წუთზე, მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს გუცაევმა და ჩქარეულმა, უკანასკნელ წუთზე გუცაევის რეიდი მცველის მოტყუებით, მერე ზუსტი დარტყმით და გოლით დასრულდა – 1:0.

კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შენგელია რომ არ დაშავებულიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მინდორზე ერთადერთი ფორვარდი დარჩა, აშკარა გახდა, რომ თბილისელები უთუოდ დათმობდნენ ინიციატივას. თუმცაღა, სხვას არც უნდა მოელოდე, როცა გუნდი ერთი თავდამსხმელითა და 6 (!) მცველით

თამაშობს. “დინამოს” უპირატესობა ხელად დაილია, რამაც ტექნიკურ მონაცემებში ჰპოვა სათანადო ასახვა, მეორე ტაიმში “ნეფთჩიმ” თბილისელთა კართან 6 კუთხური მიაწოდა, “დინამომ” – არც ერთი, “ნეფთჩიმ” ცხრაჯერ დაარტყა სტუმართ კარში, “დინამომ” – მხოლოდ ექვსჯერ. საქმე ის არის, რომ პირველ ტაიმში ეს ყველაფერი პირიქით იყო.

ახლა ორიოდე სიტყვა გოლზე, რომელიც ქულის ფასად დაუჯდა “დინამოს”.

ზოგისთვის იქნებ შემთხვევითიც არის ახმედოვის მიერ მატჩის დასასრულს გატანილი ბურთი, ისევე როგორც ამასწინანდელი სამი გოლი ლენინგრადელებთან შეხვედრაში, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ასე არ უნდა იყოს. ახმედოვის გოლი თბილისელთა ორ, ერთიმეორისაგან გამომდინარე უხეშ შეცდომას მოჰყვა. პირველი ინიციატივის გაუმართლებელი დათმობა იყო, მეორე – ასევე გაუმართლებელი მოქმედება საკუთარ საჯარიმოში. რაღა თქმა უნდა, რომ კაკილაშვილმა დააყოვნა ბურთის მოგერიება ან პარტნიორისთვის გადაწოდება, დააყოვნა და თან არასწორი გადაწყვეტილებაც მიიღო – მოიგერია ელემენტარული საფეხბურთო წესით აკრძალული მიმართულებით. სასჯელი, მართალია მკაცრი იყო, მაგრამ – სამართლიანი.

ირაკლი ბერიაშვილი.
“ლელო”, 25 აგვისტო, 1984 წ.